სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №109

10 მარტი 2015 წელი ქ.ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ნოდარ მიქიაშვილის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24 10 24; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი - №01-418 10.03.15წ).

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „გზაჯვარედინი“, მისი დირექტორის ანტონ ჩუბინიძის სახით (მისამართი: ქ. თბილისი, კაიროს ქ. №33) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქალაქ ქუთაისში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების შესყიდვა-მონტაჟი.

1.2 კლასიფიკატორის კოდი –34900000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 7756 (შვიდი ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტი) ლარს.

2.2 დანართი №1 (ფასების ცხრილი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

3.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

4.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მიწოდება-მონტაჟი განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2015 წლის 29 მარტის ჩათვლით.

4.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი საქონელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება, „მიმწოდებლი“–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;

გ) მიწოდებელი საქონლის შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა.

6.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ლარებში.

6.3 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების შესაბამისად სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში.

7. გარანტია

7.1 მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

8.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

– მისაწოდებელი საქონლის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

–მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელი" გადაიხდის 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს;

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 ადგილობრივი ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 29 აპრილის ჩათვლით.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა"
ბ/კოდი: TRESGE22
ს/კოდი: 212 721 170

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე

ნოდარ მიქიაშვილი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „გზაჯვარედინი"
მის: ქ. თბილისი, კაიროს ქ. №38
ს.ს „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: 220101543
ა/ა GE14BG0000000872216701
ს/ვ 206143298

შ.პ.ს. „გზაჯვარედინი"
დირექტორი

ანტონ ჩუბინიძე

ფასების ცხრილი

#	დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური ბარიერი	გრძ.მ	50	117,00	5850,00
2	სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური ბარიერის მონტაჟი	გრძ.მ	50	5,00	250,00
3	საგზაო ნიშანი სამუთხედი 1.18 700*700*700 მმ	ც	6	85,00	510,00
4	საგზაო ნიშანი სამუთხედი 1.18 700*700*700 მმ-ს მონტაჟი	ც	6	2,00	12,00
5	საგზაო ნიშანი მრგვალი 3.24 D600 მმ	ც	6	94,00	564,00
6	საგზაო ნიშანი მრგვალი 3.24 D600 მმ-ს მონტაჟი	ც	6	2,00	12,00
7	საგზაო ნიშნის გალვანიზირებული დგარი Ø-60მმ, l 4მ	ც	6	78,00	468,00
8	საგზაო ნიშნის გალვანიზირებული დგარი Ø-60მმ, l 4მ-ს მონტაჟი	ც	6	15,00	90,00
საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით ლარი:					**7756,00**

შპს "გზაჯვარედინი"-ს

დირექტორი

ანტონ ჩუბინიძე